- როზეტი ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს, რათა საგანგებო სიტუაციებში მოწყობილობა სწრაფად გამოირთოს დენის წყაროდან.
 - ის უნდა იყოს მოწყობილობის უკანა ზონის გარეთ.
- ნუ შეინახავთ ამ მოწყობილობაში ისეთ ფეთქებად ნივთიერებებს, როგორებიცაა გასაფრქვევი ნივთიერების შემცველი აეროზოლის ქილები.



- თუ მოწყობილობა აღჭურვილია LED ნათურებით, თქვენ თვითონ არ დაშალოთ ნათურის საფარი და LED ნათურები.
 - დაუკავშირდით Samsung-ის სერვის ცენტრს
 - გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის ან მისი სერვისის აგენტების მიერ მოწოდებული LED ნათურები.
- ენერგიის ყველაზე ეფექტური გამოყენებისთვის, გთხოვთ, დატოვეთ ყველა შიდა აღჭურვილობა, როგორიცაა კალათები, უქრები, თაროები მწარმოებლის მიერ მოწოდებულ ადგილზე.
- ამ პროცესზე მაქსიმალური ენერგოეფექტურობის მისაღწევად ყველა თარო, უქრა და კალათი თავდაპირველ მდგომარეობაში დატოვეთ.

ენერგომოხმარების მინიმიზაციის წესები

- დაამონტაჟეთ მოწყობილობა გრილ, მშრალ ოთახში ადეკვატური ვენტილაციით.
- დარწმუნდით, რომ ის არ ექვემდებარება მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებას და არ დგას სითბოს წყაროსთან (მაგალითად, რადიატორთან) ახლოს.
 - ენერგოეფექტურობის მისაღწევად არ დაბლოკოთ საპარო ღიობები და ცხაურები.
 - თბილი საკვები უნდა ოდნავ გაგრილდეს, სანამ მოწყობილობაში მოათავსებთ.
 - გაყინული საკვები შედგით მაცივარში გასალობად. შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ გაყინული პროდუქტების დაბალი ტემპერატურა მაცივარში საკვების გასაციებლად.
 - მაცივრიდან საკვების გამოტანის ან შენახვის დროს კარი დიდი ხნით არ დატოვოთ ღია.
 - რაც უფრო მცირე ხანს იქნება კარი ღია, მით უფრო ნაკლები ყინული წარმოიქმნება საყინულეში.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- მაცივრის უკანა ნაწილი რეგულარულად გაწმინდეთ.
- მტვერი ზრდის ენერგომობრებას.
- ტემპერატურა აუცილებელზე ქვემოთ არ დააყენოთ.
- უზრუნველყავით ჰაერის საკმარისი გამოდევნა მაცივრის ძირთან და უკანა კედელთან. არ დაფაროთ სავენტილაციო ღიობები.
- მონტაჟისას დატოვეთ ადგილი მარჭვნივ, მარცხნივ, უკან და ზემოთ. ეს ხელს შეუწყობს ენერგიის მოხმარების შემცირებას და თქვენი ენერგიის გადასახადის შემცირებას.
- ჩვენი რეკომენდაციაა, რომ დატოვებული მანძილები:
 - მარჭვენა, მარცხენა და უკანა მხარეს აღემატებოდეს 50 მმ-ს
 - ზედა მხარეს – 100 მმ-ს

ეს მოწყობილობა განკუთვნილია სახლის პირობებში და მსგავს ადგილებში მოხმარებისათვის, როგორიცაა

- სახელოსნოების და ოფისების სამზარეულოებში ან მსგავს სამუშაო გარემოში;
- ფერმის შენობებში სასტუმროებში, მოტელებში ან სხვა სასტუმროს ტიპის შენობებში;
- საუზმე და ღამისთევა ტიპის დაწესებულებებში;
- საზოგადოებრივი კვება და მსგავსი არასაცალო გამოყენების სფეროები.



მკაცრი გამაფრთხილებელი ნიშნები ტრანსპორტისა და ადგილისათვის

⚠ გაფრთხილება

- მოწყობილობის ტრანსპორტირებისა და დამონტაჟებისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ დაზიანდეს სამაცივრო წრედის ნაწილები.
 - მიღებიდან მაცივებელი ნივთიერების გამოფრქვევამ შეიძლება აალება ან თვალის დაზიანება გამოიწვიოს. თუ გაუონვა გამოვლინდა, მოერიდეთ შიშველ ცეცხლს ან აალების პოტენციურ წყაროს და გაანიავეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში ოთახი, რომელშიც მოწყობილობა დგას.
 - ეს დანადგარი შეიცავს მცირე რაოდენობით იზობუტანის შემცველ მაციებელ აგენტს (R-600a), რომელიც წარმოადგენს გარემოსთვის უსაფრთხო ბუნებრივ აირს, თუმცა ის აალებადია. მოწყობილობის ტრანსპორტირებისა და დამონტაჟებისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ დაზიანდეს სამაცივრო წრედის ნაწილები.

ინფორმაცია უსცენტრის შესახებ



ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

მონტაჟთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი
გაფრთხილებები

⚠ გაფრთხილება

- არ დააინსტალიროთ მაცივარი ნესტიან ან წყალთან შეხების ადგილებში.
 - ელექტრული ნაწილების დაზიანებულმა იზოლაციამ შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- არ მოათავსოთ ეს მაცივარი მზის პირდაპირი სხივების ქვეშ და ღუმელების, ოთახის გამათბობლების ან სხვა მოწყობილობების სიმძურვალესთან.
- არ შეაერთოთ რამდენიმე მოწყობილობა ერთსა და იმავე მრავალჯერად დენის სადენში. მაცივარი ყოველთვის უნდა იყოს ჩართული საკუთარ ინდიკიდუალურ ელექტრორომეტრში, რომელსაც აქვს ძაბვის ნიშანი, რომელიც ემთხვევა მაცივრის ტექნიკური მონაცემების ეტიკეტზე მითითებულ ძაბვას.
 - ეს უზრუნველყოფს საუკეთესო შესრულებას და ასევე ხელს უშლის სახლის გაყვანილობის სქემების გადატვირთვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის საშიშროება გადახურებული სადენებისგან.
- თუ როზეტი არ არის კარგად დამაგრებული, არ შეართოთ დენის შტეკერი.
 - არსებობს დენის დარტყმის და ხანძრის გაჩენის რისკი.
- არ გამოიყენოთ დენის კაბელი, რომელსაც აქვს ბზარები ან აბრაზიული დაზიანება მის სიგრძეზე ან ორივე ბოლოოში.
- არ მოხაროთ დენის კაბელი ზედმეტად და არ მოათავსოთ მასზე მძიმე საგნები.
- არ დაჭიმოთ და ძლიერად არ მოღუნოთ დენის კაბელი.
- არ გადაგრიხოთ და არ განასკვოთ დენის კაბელი.

- არ გამოაბათ დენის კაბელი ლითონის საგნებზე, არ მოათავსოთ მძიმე საგნები მასზე, არ მოაყოლოთ მძიმე საგნებს შორის და არ მოათავსოთ ის მოწყობილობის უკან არსებულ სივრცეში.
- მაცივრის გადადგილებისას ფრთხილად იყავით არ გადაგრიხოთ დენის კაბელი და არ დააზიანოთ.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- არასოდეს გამორთოთ მაცივარი დენის კაბელის გამოქაჩიოთ. ყოველთვის მჭიდროდ მოვიდეთ ხელი შტეკერს და თქვენვენ გამოშიეთ როზეტიდან ამოსაღებად.
 - დენის კაბელის დაზიანებამ შეიძლება, ხანძარი და/ან დენის დარტყმა გამოიწვიოს.
- მაცივრის სიახლოვეს აეროზოლი არ გამოიყენოთ.
 - მაცივრის სიახლოვეს აეროზოლის გამოყენებამ შესაძლოა აფეთქება ან ხანძარი გამოიწვიოს.
- არ დაამონტაჟოთ ეს მოწყობილობა გამაცხელებელის ან აალებადი მასალის სიახლოვეს.
- არ დაამონტაჟოთ ეს მოწყობილობა იმ ადგილას, სადაც არსებობს ბუნებრივი აირის გაუონვის საფრთხე.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- სანამ გამოიყენებთ, მაცივარი უნდა იყოს სათანადოდ განლაგებული და ამ სახელმძღვანელოს ინსტრუქციის შესაბამისად დამონტაჟებული.
- შეაერთეთ დენის შტეკერი სათანადო პოზიციაზე ქვემოთ დაკიდებული სადენით.
 - თუ დენის შტეკერს თავდაყირა დააკავშირებთ, მავთული შეიძლება გაწყდეს და გამოიწვიოს ხანძარი ან დენის დარტყმა.
- დარწმუნდით, რომ დენის შტეკერი არ არის დამსხვრეული ან დაზიანებული მაცივრის უკანა მხარეს.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- შეინახეთ შესაფუთი მასალები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
 - არსებობს გაგუდვისგან სიკვდილის რისკი, თუ ბავშვი შესაფუთ მასალას თავზე წამოიცვამს.
- არ დაამონტაჟოთ ეს მოწყობილობა ნესტიან, ზეთიან ან მტვრიან გარემოში ან იმ ადგილას, სადაც ის მზის სხივების და წყლის (წვიმის) პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ იქნება.
 - ელექტრული ნაწილების დაზიანებულმა იზოლაციამ შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- თუ მაცივარში მტვერი ან წყალია, გამოაძრეთ დენის შტეკერი და დაუკავშირდით Samsung Electronics-ის სერვის ცენტრს.
 - შინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს ხანძრის რისკი.
- არ დადგეთ და არ მოათავსოთ საგნები მოწყობილობის თავზე (მაგალითად, სარეცხი, ანთებული სანთლები, ანთებული სიგარეტი, ჭურჭელი, ქიმიკატები, ლითონის საგნები და ა.შ.).
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა, ხანძარი, პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.
- თქვენ უნდა ამოიღოთ ყველა დამცავი პლასტმასის ფირფიტა, სანამ პროდუქტს თავდაპირველად შეაერთებთ.
- ბავშვები უნდა იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ, რომ დავრწმუნდეთ ისინი არ თამაშობენ კარების რეგულირებისთვის გამოყენებულ დამჭერ რგოლებთან ან წყლის მილის სამაგრებთან.
 - არსებობს დახრჩობით სიკვდილის რისკი, თუ ბავშვი გადაყლაპავს დამჭერ რგოლს ან წყლის მილის სამაგრს. შეინახეთ დამჭერი რგოლები და წყლის მილის სამაგრები ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

- მაცივარი უსაფრთხოდ უნდა იყოს დამიწებული.
 - ყოველთვის დარწმუნდით, რომ დამიწებული გაქვთ მაცივარი, სანამ შეეცდებით მოწყობილობის რომელიმე ნაწილის გამოკვლევას ან შეკეთებას. დენის გაუონვამ შეიძლება გამოიწვიოს დენის ძლიერი დარტყმა.
- არასოდეს გამოიყენოთ გაზის მილები, სატელეფონო ხაზები ან სხვა პოტენციური ელვის მიმზიდები ელექტრო დამიწებად.
 - თქვენ უნდა დაამიშოთ მაცივარი, რათა თავიდან აიცილოთ ნებისმიერი ელექტროენერგიის გაუონვა ან დენის დარტყმა, რომელიც გამოწვეულია მაცივრიდან დენის გაუონვით.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს დენის დარტყმა, ხანძარი, აფეთქება ან ამ პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა.
- დენის შტეკერი მჭიდროდ მოარგეთ კედლის როზეტში. არ გამოიყენოთ დაზიანებული დენის შტეკერი, დაზიანებული დენის სადენი ან მორყეული კედლის დენცქვიტა.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- ამ მაცივრის მილის გამოცვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტის ან მომსახურე კომპანიის მიერ.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება დენის დარტყმა ან პირადი დაზიანება გამოიწვიოს.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

მონტაჟთან დაკავშირებული გაფრთხილებები

⚠️ სიფრთხილე

- დატოვეთ საკმარისი ადგილი მაცივრის გარშემო და დააინსტალირეთ ბრტყელ ზედაპირზე.
 - თუ მაცივარი სწორად არ დგას, გაციების ეფექტურობა და ხანგრძლივობა შესაძლოა შემცირდეს.
- მონტაჟის და ჩართვის შემდეგ მაცივარში პროდუქტები მოათავსეთ 2-3 საათის შემდეგ.
- ჩვენ დაუინებით გირჩევთ, რომ მაცივარი დაამონტაჟოთ კვალიფიციური ტექნიკოსის ან სერვისის კომპანიის მიერ.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს დენის დარტყმა, ხანძარი, აფეთქება, პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა, ან სხეულის დაზიანება.



გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაფრთხილებები

⚠ გაფრთხილება

- არ ჩასვათ დენის შტეკერი სველი ხელებით როზეტში.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა გამოიწვიოს.
- არ შეინახოთ ნივთები მოშპობილობის თავზე.
 - კარის გაღების ან დახურვისას ნივთები შეიძლება დაეცეს და გამოიწვიოს პირადი დაზიანება და/ან მატერიალური ზიანი.
- არ ჩადოთ მოათავსოთ ხელები, ფეხები ან ლითონის საგნები (როგორიცაა ჭოხები და ა.შ.) მაცივრის ქვედა ან უკანა ნაწილში.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.
 - ნებისმიერმა მკვეთრმა კიდეებმა შეიძლება გამოიწვიოს პირადი დაზიანება.
- არ შეეხოთ საყინულეს შიდა კედლებს ან საყინულეში შენახულ პროდუქტებს სველი ხელით.
 - ამან შეიძლება მოყინვა გამოიწვიოს.
- არ დადოთ წყლით სავსე კონტეინერი მაცივარზე
 - დაღვრის შემთხვევაში არის ხანძრის ან დენის დარტყმის საშიშროება.
- არ შეინახოთ აქროლადი ან აალებადი საგნები ან ნივთიერებები (ბენზოლი, გამათხელებელი, პროპან გაზი, ალკოჰოლი, ეთერი, LP გაზი და სხვა მსგავსი პროდუქტები) მაცივარში.
 - ეს მაცივარი განკუთვნილია მხოლოდ საკვების შესანახად.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი ან აფეთქება.

ინფორმაცია უსცურითი იურიდის შესახებ

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- ბავშვები უნდა იყვნენ მეთვალყურეობის ქვეშ, რათა ვერ შეძლონ ამ მოწყობილობით თამაში.
 - მოარიდეთ თითები "მწკრივის წერტილების" უბნებს. კარებსა და კაბინეტს შორის ღრეჩო აუცილებლად მცირე უნდა იყოს. ფრთხილად იყავით კარების გაღებისას, თუ იქ ბავშვები არიან.
- კარში თქვენი ან ბავშვების თითები არ ჩაგყვეთ.
 - არ მოგყვეთ თითები მარცხენა და მარჯვენა კარის ჭრილებში. თუ თითები კარებს შორის გაქვთ, კარის გაღებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ.
- არ დაუშვათ ბავშვების კარზე ან კარის ყუთებზე ჩამოკიდება. შეიძლება სერიოზული დაზიანება მოხდეს.
- არ შეუშვათ ბავშვები მაცივარში. მათ შეიძლება გამოსვლა ვერ შესძლონ.
- არ ჩადოთ ხელები მოწყობილობის ქვედა არეში.
 - ნებისმიერმა მკვეთრმა კიდეებმა შეიძლება გამოიწვიოს პირადი დაზიანება.
- არ შეინახოთ ფარმაცევტული პროდუქტები, სამეცნიერო მასალები ან ტემპერატურაზე მგრძნობიარე პროდუქტები მაცივარში.
 - პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ ტემპერატურის მკაფრ კონტროლს, არ უნდა ინახებოდეს მაცივარში.
- თუ ფარმაცევტული პრეპარატების ან კვამლის სუნი იგრძენით, სასწრაფოდ გამოაძრეთ დენის შტეკერი და დაუკავშირდით Samsung Electronics-ის სერვის ცენტრს.
- თუ მაცივარში მტვერი ან წყალია, გამოაძრეთ დენის შტეკერი და დაუკავშირდით Samsung Electronics-ის სერვის ცენტრს.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს ხანძრის რისკი.
- არ მისცეთ ბავშვებს უკარაზე ფეხის დადგმის უფლება.
 - უკარა შეიძლება გატყდეს და გამოიწვიოს მათი მოცურება.

- არ დატოვოთ მაცივრის კარები ღია, სანამ მაცივარი უყურადღებოდაა და არ დაუშვათ ბავშვები მაცივარში შევიდნენ.
- არ დაუშვათ მცირებლოვანი ან მოზრდილი ბავშვების უჯრაში შეღწევა.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი დახრჩობის შედეგად იმის გამო, რომ ვერ მოახერხონ გამოსვლა ან მიიღონ პირადი დაზიანებები.
- არ გადაავსოთ მაცივარი საკვებით.
 - კარის გაღებისას ნივთები შეიძლება გადმოვარდეს და გამოიწვიოს პირადი დაზიანება და/ან მატერიალური ზიანი.
- არ შეასხუროთ აქროლადი მასალა, როგორიცაა ინსექტიციდი მოწყობილობის ზედაპირზე.
 - გარდა იმისა, რომ ეს ნივთიერებები მავნებელია ადამიანისთვის, ამან ასევე შეიძლება დენის დარტყმა, ხანძარი ან პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვიოს.
- არასოდეს არ ჩაყოთ თითები ან სხვა საგნები წყლის დისპენსერის ხვრელში, ყინულის ღარში და ყინულის ვედროში.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის დაშავება ან მატერიალური ზარალი.
- არ გამოიყენოთ ან განათავსოთ მაცივართან ახლოს ან შიგნით ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე ნივთიერებები, როგორიცაა აალებადი სპრეი, აალებადი საგნები, მშრალი ყინული, წამალი ან ქიმიკატები.



ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- არ გამოიყენოთ ფენი მაცივრის შიდა ნაწილების გასაშრობად. არ მოათავსოთ ანთებული სანთელი მაცივარში ცუდი სუნის გასაქრობად.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- აავსეთ წყლის რეზერვუარი, ყინულის ფორმები და წყლის ჭურჭელი მხოლოდ სასმელი წყლით (მინერალური წყლით ან გასუფთავებული წყლით).
 - ნუ აავსებთ რეზერვუარს ჩაით, წვენით ან მატონიზირებელი სასმელით, ამან შეიძლება დააზიანოს მაცივარი.
- არ დადგეთ და არ მოათავსოთ საგნები მოწყობილობის თავზე (მაგალითად, სარეცხი, ანთებული სანთლები, ანთებული სიგარეტი, ჭურჭელი, ქიმიკატები, ლითონის საგნები და ა.შ.). ამან შეიძლება დენის დარტყმა, ხანძარი, პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს. არ დადოთ წყლით სავსე კონტეინერი მოწყობილობაზე.
 - დაღვრის შემთხვევაში არის ხანძრის ან დენის დარტყმის საშიშროება.
- არასოდეს შეხედოთ პირდაპირ UV LED ნათურას დიდი ხნის განმავლობაში.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს თვალის დაძაბვა ულტრაიისფერი სხივების გამო.
- ნუ შედებთ მაცივრის თაროს უკულმა. თაროს გასაჩერებელი არ იმუშავებას.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს პირადი დაზიანება შუშის თაროს ჩამოვარდნის გამო.
- მოარიდეთ თითები "მწკრივის წერტილების" უბნებს. კარებსა და კაბინეტს შორის ღრეჩო აუცილებლად მცირე უნდა იყოს. ფრთხილად იყავით კარების გაღებისას, თუ იქ ბავშვები არიან.



- თუ გაზის გაუონვა გამოვლინდა, მოერიდეთ შიშველ ცეცხლს ან აალების პოტენციურ წყაროს და გაანიავეთ რამდენიმე წუთის განმავლობაში ოთახი, რომელშიც მოწყობილობა დგას.
 - არ შეეხოთ მოწყობილობას ან დენის სადენს.
 - არ გამოიყენოთ ვენტილატორი.
 - ნაპერწვალმა შეიძლება აფეთქება ან ხანძარი გამოიწვიოს.
- ბოთლები მჭიდროდ უნდა ინახებოდეს ერთმანეთთან ისე, რომ არ ჩამოვარდეს.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობებში საკვების შესანახად.
- არასოდეს არ ჩაყოთ თითები ან სხვა საგნები წყლის დისპენსერის ხვრელში, ყინულის ღარში და ყინულის ვედროში.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის დაშავება ან მატერიალური ზარალი.
- არ სცადოთ მაცივრის საკუთარი ხელით შეკეთება, დაშლა ან მოდიფიკაცია.
- არ გამოიყენოთ რაიმე სახის არასტანდარტული მცველები (სპილენძის ან ფოლადის მავთული და ა.შ.).
- როდესაც საჭიროა თქვენი მაცივრის შეკეთება ან ხელახალი მონტაჟი, დაუკავშირდით უახლოეს მომსახურების ცენტრს.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს დენის დარტყმა, ხანძარი, აფეთქება, პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა, ან სხეულის დაზიანება.
- თუ მაცივარი უშვებს სუნს ან კვამლს გამოყოფს, დაუყოვნებლივ გამორთეთ მაცივარი და დაუკავშირდით Samsung Electronics-ის სერვის ცენტრს.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ელექტრო ან ცეცხლთან დაკავშირებული საშიშროება გამოიწვიოს.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- მაცივრის შიდა ნათურების შეცვლამდე გამოიღეთ დენის შტეკერუ როზეტიდან.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს დენის დარტყმის რისკი.
- თუ გაგიჭირდათ არა-LED ნათურის შეცვლა, დაუკავშირდით Samsung-ის სერვის ცენტრს.
- დენის შტეკერი მჭიდროდ მოარგეთ კედლის როზეტში.
- არ გამოიყენოთ დაზიანებული დენის შტეკერი, დაზიანებული დენის კაბელი ან მორყეული კედლის შტეპსელი.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.

გამოყენებასთან დაკავშირებული გაფრთხილებები

⚠ სიფრთხილე

- გამლოვარი პროდუქტი ხელახლა არ გაყინოთ.
 - გაყინულ და გამლოვარ საკვებში უფრო სწრაფად ვითარდება მავნე ბაქტერიები, ვიდრე ახალში.
 - მეორე გალოობა კიდევ უფრო მეტ უკარებს ანადგურებს, აშორებს ტენს და ცვლის პროდუქტის მთლიანობას.
- არ გააღმოთ ხორცი ოთახის ტემპერატურაზე.
 - უსაფრთხოება იმაზე იქნება დამოკიდებული, სწორად დამუშავდა თუ არა ნედლი პროდუქტი.
- საყინულები არ მოათავსოთ მინის ან გაზიანი სასმელის ბოთლი.
 - კონტეინერი შეიძლება გაიყინოს და გატყდეს, რამაც შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.
- გამოიყენეთ მხოლოდ მაცივართან ერთად კომპლექტში მოწოდებული ყინულის აპარატი.
- თუ სახლს დიდი ხნით ტოვებთ (მაგალითად, შვებულების დროს) და წყლის ან ყინულის დისპენსერებს არ გამოიყენეთ, დახურეთ წყლის სარქველი.
 - სხვაგვარად შეიძლება წყალმა გაჟონოს.
- თუ მაცივარს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენეთ (3 კვირა ან მეტი), დაცალეთ მაცივარი ყინულის ვედროს ჩათვლით, გამორთეთ იგი, დახურეთ წყლის სარქველი, მოწმინდეთ ზედმეტი ტენი შიდა კედლებიდან და დატოვეთ კარები ღია, რათა თავიდან აიცილოთ უსიამოვნო სუნი და ობი.



ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- იმისათვის რომ მოწყობილობამ კარგად იმუშაოს:
 - ნუ მოათავსებთ საკვებს მაცივრის უკან, სავენტილაციო ნაწილებთან ძალიან ახლოს, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ჰაერის თავისუფალ მიმოქცევას მაცივრის განყოფილებაში.
 - საკვები კარგად შეფუთეთ ან მოათავსეთ ჰერმეტულ კონტეინერებში, სანამ მაცივარში შედგამთ.
 - გთხოვთ, გაითვალისწინოთ გაყინული პროდუქტების შენახვის მაქსიმალური დრო და ვარგისიანობის ვადები.
 - თუ სამ კვირაზე ნაკლები დროით ტოვებთ სახლს, მაცივრის გამორთვა დენის წყაროდან საჭირო არ არის. თუმცა, თუ სამ კვირაზე მეტხანს არ იქნებით, გამოიღეთ მთელი საკვები და ყინული ყინულის ვედროდან, გამორთეთ მაცივარი, დახურეთ წყლის სარქველი, მოწმინდეთ ზედმეტი ტენი შიდა კედლებიდან და დატოვეთ კარები ღია, რათა თავიდან აიცილოთ უსიამოვნო სუნი და ობი.
- სერვისის გარანტია და მოდიფიკაცია.
 - ამ მზა მოწყობილობაზე მესამე მხარის მიერ შესრულებული ნებისმიერი ცვლილება ან მოდიფიკაცია არ ვრცელდება Samsung-ის საგარანტიო სერვისით და არც Samsung იქნება პასუხისმგებელი უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც გამოწვეულია მესამე მხარის ცვლილებებით.
- არ დაბლოკოთ ჰაერის სავენტილაციო ნაწილები მაცივარში.
 - თუ ჰაერის სავენტილაციო ნაწილები დაბლოკილია, განსაკუთრებით ცელოფნის ჰარკით, მაცივარი შეიძლება ზედმეტად გაცივდეს. თუ გაგრილების პერიოდი ძალიან დიდხანს გაგრძელდება, წყლის ფილტრი შეიძლება გატყდეს და გამოიწვიოს წყლის გაჟონვა.



- გამოიყენეთ ყინულის მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც თან მოჰყვა მაცივარს.
- მოწმინდეთ ზედმეტი ტენიანობა შიგნიდან და დატოვეთ კარები ღია.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, სუნი და ობის შეიძლება განვითარდეს.
- თუ მაცივარი გამორთულია ელექტრომომარაგებიდან, უნდა დაელოდოთ მინიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში, სანამ ისევ ჩართავთ.
- როდესაც მაცივარი წყლით დასველდება, გამორთეთ კვების ბლოკი და დაუკავშირდით Samsung Electronics-ის სერვის ცენტრს.
- არ დაარტყათ და არ გამოიყენოთ ზედმეტი ძალა მინის ნებისმიერ ზედაპირზე.
 - შუშის გატეხვამ შეიძლება გამოიწვიოს სხეულის მძიმე დაზიანება და/ან ქონების განადგურება.
- წყლის ავზში, ყინულის განყოფილებაში და ყინულის კუბების დასამზადებელ ფორმაში ჩაასხით მხოლოდ სასმელი წყალი (ონკანის, მინერალური ან გაწმენდილი წყალი).
 - ავზში არ ჩაასხათ ჩაი, წვენი ან მატონიზირებელი სასმელი. ამან შეიძლება მაცივრის დაზიანება გამოიწვიოს.
- ფრთხილად იყავით, რომ თითები არ მოგყვეთ.
- თუ მაცივარი დატბორილია, უნდა დაუკავშირდეთ უახლოეს სერვის ცენტრს.
 - დენის დარტყმის ან ხანძრის გაჩენის რისკი არსებობს.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- არ შეინახოთ მცენარეული ზეთი თქვენი მაცივრის კარის ყუთებში. ზეთს შეუძლია გამაგრდეს, რაც მას უსიამოვნო გემოს მისცემს და მის გამოყენებას გაართულებს. გარდა ამისა, ღია კონტეინერმა შეიძლება გაუონოს და გაუონილმა ზეთმა შეიძლება გამოიწვიოს კარის ყუთის ბზარი. ზეთის კონტეინერის გახსნის შემდეგ უმჯობესია კონტეინერი გრილ და დაჩრდილულ ადგილას შეინახოთ, როგორიცაა კარადა ან საკუჭნაო.
- მცენარეული ზეთის მაგალითები: ზეითუნის ზეთი, სიმინდის ზეთი, ყურძნის თესლის ზეთი და ა.შ.



სიფრთხილის ზომები წმენდის დროს

⚠ სიფრთხილე

- არ შეასხუროთ წყალი პირდაპირ მაცივრის შიგნით ან გარეთ.
 - არსებობს ხანძრის ან დენის დარტყმის საშიშროება.
- არ გამოიყენოთ ფენი მაცივრის შიდა ნაწილების გასაშრობად.
- არ მოათავსოთ ანთებული სანთელი მაცივარში ცუდი სუნის გასაქრობად.
 - ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- არ დაასხუროთ საწმენდი საშუალებები პირდაპირ ეკრანზე.
 - ეკრანზე დაბეჭდილი ასოები შეიძლება წაიშალოს.
- მოწყობილობაში წყლის მსგავსი უცხო სხეულის მოხვედრის შემთხვევაში ჩახსენით დენის სადენი კვების წყაროდან და დაუკავშირდით Samsung-ის უახლოეს მომსახურების ცენტრს.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- გამოიყენეთ სუფთა, მშრალი ქსოვილი ნებისმიერი უცხო ნივთიერების ან დენის შტეკერზე მტვრის მოსაშორებლად. არ გამოიყენოთ სველი ან ნესტიანი ქსოვილი დენის შტეკერის გაწმენდისას.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს ხანძრის ან დენის დარტყმის საშიშროება.
- არ გაწმინდოთ თქვენი მოწყობილობა უშუალოდ მის ზედაპირზე წყლის შესხურებით.
- დასუფთავებისთვის არ გამოიყენოთ ბენზოლი, გამათხელებელი ან ქლოროქსი, ქლორიდი.
 - ამას შეუძლია დაზიანოს მოწყობილობის ზედაპირი და გამოიწვიოს ხანძარი.

ინფორმაცია უსცურითობის შესახებ



ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- წურასოდეს შეპყოფთ თითებს ან სხვა ობიექტებს დისპენსერის ღიობში.
 - ამან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის დაშავება ან მატერიალური ზარალი.
- წმენდის ან ტექმომსახურების დაწყებამდე გამორთეთ მოწყობილობა როზეტიდან.
 - წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება დენის დარტყმა ან ხანძარი გამოიწვიოს.
- გამოიყენეთ სუფთა ღრუბელი ან რბილი ქსოვილი და რბილი სარეცხი საშუალება თბილი წყლით მაცივრის გასაწმენდად.
- არ გამოიყენოთ აბრაზიული ან მკაცრი გამწმენდი საშუალებები, როგორიცაა ფანჯრების სპრეი, საწმენდი საშუალებები, აალებადი სითხეები, მურიატინის მჟავა, საწმენდი ცვილები, კონცენტრირებული სარეცხი საშუალებები, გაუფერულებანი ან ნავთობპროდუქტების შემცველი საწმენდები გარე ზედაპირებზე (კარებები და განყოფილებები), პლასტმასის ნაწილებზე, კარებსა და შიდა საფარებებზე, და ღრეჩიოებში.
 - მათ შესაძლოა დაკამრონ ან დააზიანონ მასალა.
- არ გაასუფთავოთ მინის თაროები ან ზედაპირები თბილი წყლით, როცა ისინი ცივია. შეშის თაროები და ზედაპირები შეიძლება გატყდეს, თუ მოხდება ტემპერატურის უეცარი ცვლილება ან ზემოქმედება, როგორიცაა დარტყმა ან ვარდნა.



განკარგვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაფრთხილებები

⚠ გაფრთხილება

- გთხოვთ, გადააგდოთ ამ მოწყობილობის შესაფუთი მასალა ეკოლოგიურად სუფთა გზით.
- განადგურებამდე დარწმუნდით, რომ მაცივრის უკანა მხარეს არცერთი მილი არ დაზიანდეს.
- მაციებელ აგენტად გამოყენებულია R-600a ან R-134a. შეამოწმეთ კომპრესორის ეტიკეტი მოწყობილობის უკანა მხარეს ან რეიტინგის ეტიკეტი მაცივრის შიგნით, რათა ნახოთ თუ რომელი მაციებელი ნივთიერება გამოიყენება თქვენი მაცივრისთვის. თუ მაცივარი შეიცავს ააღებად აირს (მაციებელი აგენტი R-600a), ამ პროდუქტის უსაფრთხოდ უტილიზაციის წესების გასაცნობად დაუკავშირდით შესაბამის ადგილობრივ უწყებას.
- ამ მაცივრის გადაგდებისას მოხსენით კარის/კარის ლუქები და კარის ჩამკეტი ისე, რომ პატარა ბავშვები ან ცხოველები არ მოხვდნენ შიგნით. ბავშვები უნდა იყვნენ მეთვალყურეობის ქვეშ, რათა ვერ შეძლონ ამ მოწყობილობით თამაში. თუ ბავშვი შიგნით მოჰყვება, შეიძლება დაშავდეს ან დაიხრჩოს.
 - შიგნით ჩამწყვდევის შემთხვევაში ბავშვი შეიძლება დაშავდეს ან გაიგუდოს.
- იზოლაციისათვის გამოიყენება ციკლოპენტანი. საიზოლაციო მასალაში არსებული აირები საჭიროებს სპეციალური განადგურების პროცედურას. გთხოვთ, დაუკავშირდეთ ადგილობრივ ხელისუფლებას ამ პროდუქტის ეკოლოგიურად უსაფრთხო განადგურებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

- შესაფუთი მასალები შეინახეთ საიმედოდ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას, რადგან ისინი შეიძლება სახიფათო იყოს ბავშვებისთვის.
 - პაკეტის თავზე შემოხვევამ შეიძლება ბავშვის გაგუდვა გამოიწვიოს.

დამატებითი რჩევები სწორი გამოყენებისთვის

- ელექტროენერგიის გათიშვის შემოხვევაში დარეკეთ ელექტროობის მომწოდებელი კომპანიის ადგილობრივ ოფისში და პკითხეთ რამდენ ხანს გაგრძელდება გაუმართაობა.
 - ელექტროენერგიის შეწყვეტა, თუ გამოსწორდება ერთ ან ორ საათში, არ იმოქმედებს თქვენი მაცივრის ტემპერატურაზე. თუმცა, თქვენ უნდა შეამციროთ კარების გაღებების რაოდენობა, სანამ დენი გამორთულია.
 - თუ ელექტროენერგიის გამორთვა 24 საათზე მეტხანს გაგრძელდება, ამოიღეთ და გადააგდეთ ყველა გაყინული საკვები.
- მაცივარმა შეიძლება არ იმუშაოს თანმიმდევრულად, (გაყინული შიგთავსი შეიძლება გალღვეს ან ტემპერატურამ შეიძლება ზედმეტად აიწიოს გაყინულ საკვებ განყოფილებაში) თუ დიდი ხნის განმავლობაში განთავსდება ისეთ ადგილას, სადაც ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა მუდმივად დაბალია იმ ტემპერატურაზე, რაც ამ მოწყობილობის მუშაობისათვის არის საჭირო.
- კონკრეტული საკვების მაცივარში განთავსებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის შენახვაზე მისი თვისებების გამო.

- თქვენი მოწყობილობა ყინვაგამძლეა, რაც ნიშნავს, რომ არ არის საჭირო თქვენი მოწყობილობის მექანიკურად გალღობა. ეს განხორციელდება ავტომატურად.
- გაყინვის დროს ტემპერატურის მატება შეესაბამება ISO მოთხოვნებს. თუ გსურთ თავიდან აიცილოთ გაყინული საკვების ტემპერატურის არასასურველი მატება, სანამ მოწყობილობა ყინავს, შეფუთეთ გაყინული საკვები გაზეთის რამდენიმე ფენაში.
- ხელახლა არ გაყინოთ გაყინული საკვები, რომელიც მთლიანად გალღვა.

ინფორმაცია უსფრთხოების შესახებ

ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობის ნარჩენების (WEEE) გადამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები



პროდუქტის სათანადო უტილიზაცია (ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობის ნარჩენების გადამუშავება)
(უხება ქვეყნებს, სადაც დაწერებულია ნარჩენების განცალკევების სისტემები)
თქვენს პროდუქტზე, აქსესუარებზე ან სახელმძღვანელოში მოცემული ეს სიმბოლო მიუთითებს, რომ ამ პროდუქტის და მისი ელექტრონული აქსესუარების (მაგ. დამტენი, ყურსასმენი, USB სადენი) უტილიზაცია მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად არ უნდა მოხდეს. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ნარჩენების უკონტროლო უტილიზაციით გამოზვეული ეკოლოგიური და კანმრთელობის ზიანი, ეს საგნერი სხვა სახის ნარჩენებისგან უნდა განცალკევდეს და გონივრულად უნდა მოხდეს მათი გადამუშავება პასუხისმგებლობით, რაც გაზრდის მატერიალური რესურსების ხელახლა გამოყენების პროცესის ეფექტურობას.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს ამ პროდუქტის გამყიდველს, რომლისგანაც ეს პროდუქტი შეიძინა, ან შესაბამის ადგილობრივ სამთავრობო უწყებას და მოითხოვოს ინფორმაცია, თუ სად და როგორ უნდა იქნას გადატანილი ეს მოწყობილობა მისი ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდით გადამუშავებისთვის.

კომერციული დაწმუნებების ტექნიკის მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს მიმზოდებელს შესყიდვის ხელშეკრულების პირობების გასაცნობად. ამ პროდუქტის და მისი ელექტრონული აქსესუარების უტილიზაცია არ უნდა მოხდეს სხვა კომერციული ტექნიკის ნარჩენებთან ერთად.

Samsung-ის გარემოსდაცვითი ვალდებულებებისა
და პროდუქტან დაკავშირებული მარეგულირებელი
ვალდებულებების შესახებ ინფორმაციისთვის, როგორიცაა,
მაგ. REACH, WEEE ან ელემენტები, ეწვიეთ ჩვენს მდგრადი
განვითარების გვერდს, რომელიც ხელმისაწვდომია
www.samsung.com-ის საშუალებით

(მხოლოდ ევროპის ქვეყნებში და დიდ ბრიტანეთში გაყიდული
პროდუქტებისთვის)



მონტაჟი

გამოყენებამდე ყურადღებით მიჰყევით ამ ინსტრუქციებს, რათა უზრუნველყოთ მაცივრის სწორი მოტაჟი და თავიდან აიცილოთ უბედური შემთხვევები.


△ გაფრთხილება

- გამოყენეთ მაცივარი მხოლოდ მისი დანიშნულებისამებრ, როგორც ეს აღწერილია ამ სახელმძღვანელოში.
- ნებისმიერი მომსახურება უნდა განხორციელდეს კვალიფიციური ტექნიკოსის მიერ.
- ამ პროდუქტის შესაფუთი მასალების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
- დენის დარტყმის თავიდან ასაცილებლად, ტექმომსახურების ან სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე დენის კაბელი ჩახსენით როზეტიდან.


მაცივარი ერთი შეხედვით

მაცივრის რეალური სურათი და მოწოდებული ნაწილები შეიძლება განსხვავდებოდეს მოდელისა და ქვეყნის მიხედვით.

ნორმალური ტიპი



დისპენსერის ტიპი



01 მრავალუკრიანი *

02 მაცივრის თარო/
დასაკეცი თარო *

03 ბოსტნეულის თარო *

04 საყიდულის უკრა

05 მაცივრის კარის ყუთი

06 წყლის ავზი **

07 ყინულის აპარატი
დასატრიალებელი სახელურით *

მოწყვეტი



მონტაჟი


* მხოლოდ შესაბამისი მოდელებისთვის

** მხოლოდ დისპენსერის ტიპის მოდელებისთვის

შენიშვნა

- მაქსიმალური ენერგოეფექტურობის მისაღწევად, დარწმუნდით, რომ ყველა თარო, უკრა და კონტეინერი მოთავსებულია მათთვის განკუთვნილ ადგილას.
- მეტი სივრცის გამოსათავისუფლებლად შეგიძლიათ, მოხსნათ ყველა უკრა და „საყინულის თარო (მხოლოდ შესაბამისი მოდელებისთვის)“ მოათავსოთ საყინულის ქვედა უკრაზე, რადგან ეს არ მოახდენს გავლენას მაცივრის თერმულ და მექანიკურ პარამეტრებზე. გაყინული საკვების განყოფილების სპეციფიკიებში მოცემული მოცულობა დაანგარიშებულია ამ უკრების გარეშე.

კარის ყუთები



მოცულობა

თქვენი მაცივარი იგზავნება სხვადასხვა ტიპის და ზომის კარის ყუთებით. თუ თქვენი მაცივრის კარის ყუთები ცალ-ცალკე იყო შეფუთული, შეართეთ ისინი სტორ მდგომარეობაში სურათების მიხედვით.

შენიშვნა

მაცივრის რეალური სურათი და მოწოდებული ნაწილები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ სახელმძღვანელოში მოყვანილი ილუსტრაციებისგან, მოდელისა და ქვეყნის მიხედვით.



მონტაჟის საფეხურები

საფეხური 1 აირჩიეთ ადგილი

ადგილისათვის საჭირო მოთხოვნები:

- მყარი, სწორი ზედაპირი, ხალიჩის ან სხვა სახის იატაკის საფენის გარეშე, რამაც შეიძლება ხელი შეუმაღლოს ვენტილაციას
- პირდაპირი მზის სხივებისგან მოშორებული ადგილი
- ადეკვატური ოთახი კარის გაღებისა და დასურვისთვის
- სითბოს წყაროსგან მოშორებული ადგილი
- ოთახი მოვლისა და ტექნიკური მომსახურებისთვის
- ტემპერატურის დიაპაზონი: 10°C-სა და 43°C-ს შორის

ეფექტური ტემპერატურული დიაპაზონი

ამ მაცივრის გამოყენება უნდა მოხდეს იმ პირობებში, სადაც გარემო ტემპერატურა შეესაბამება ტემპერატურულ კლასს.

კლასი	სიმბოლო	გარემოს ტემპერატურის დიაპაზონი (°C)	
		IEC 62552 (ISO 15502)	ISO 8561
გაფართოებული ზომიერი	SN	+10-დან +32-მდე	+10-დან +32-მდე
ზომიერი	N	+16-დან +32-მდე	+16-დან +32-მდე
სუბტროპიკული	ST	+16-დან +38-მდე	+18-დან +38-მდე
ტროპიკული	T	+16-დან +43-მდე	+18-დან +43-მდე

■ შენიშვნა


გაყვების ეფექტურობაზე და ელექტროენერგიის ხარჯვაზე გავლენას ახდენს გარემოს ტემპერატურა, კარის გაღების და დახურვის სიხშირე და მაცივრის ადგილმდებარეობა.

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ტემპერატურის პარამეტრები დარეგულირდეს ამ ფაქტორების გათვალისწინებით.

მონტაჟი


ღრები

მონტაჟთან დაკავშირებული სივრცის მოთხოვნების გასაცნობად იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი და ცხრილი.



მოდელი	RB45**	RB50**	RB53**
სიღრმე "A"		711	
სიგანე "B"		759	
საერთო სიმაღლე "C"	1780	1920	2030

(ერთეული : მმ)



01	რევოლუციული 500მ-ზე მეტი
02	მაცივარი: 115°, საყინულებელი: 120°
03	551
04	1307
05	626
06	32
07	1406

(ერთეული : მმ)

მოწყვეტილი

შენიშვნა

გაზომვის მეთოდიდან გამომდინარე, ცხრილში მოცემული გაზომვის მნიშვნელობები შეიძლება განსხვავებული იყოს.




მონტაჟი

საფეხური 2 ინტერვალი (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)


შენიშვნა

მოწოდებული განმიმდევრული რაოდენობა განსხვავდება მოდელის მიხედვით. ყველა მოწოდებული განმიმდევრული მიმარტვით.



1. გააღეთ კარი და მოძებნეთ მოწოდებული განმიმდევრული (ნაცრისფერი ბლოკი).
2. მოხსენით შესაფუთი მასალა განმიმდევრული და დაამაგრეთ მაცივრის უკანა მსარეს, როგორც სერატზეა ნაჩვენები. ისინი ხელს უშენობენ პაერის ვენტილაციას უკანა კედელზე და ზოგავენ ენერგიის მოხმარებას.

საფეხური 3 იატაკი



- მაცივრის განთავსების ადგილი საკმაოდ მყარი უნდა იყოს, რათა გაუძლის სრულად დატვირთული მაცივრის სიმძიმეს.
- იატაკის ზედაპირის დასაცავად მაცივრის ფეხების ქვეშ მოათავსეთ დიდი ზომის მუყაოს ნაჭრები.
- მას შემდგა, რაც მაცივარი საბოლოო პოზიციიში იქნება, არ გადაადგილოთ იგი, თუ არ არის იატაკის დაცვის საჭიროება. თუ საჭირო გახდა მაცივრის გადატანა, იატაკზე დააფინეთ სქელი ქაღალდი ან ქსოვილის ნაჭერი, მაგალითად ძველი ხალიჩა.





საფეხური 4 რეგულირებადი ფეხების გასწორება

⚠ სიფრთხილე

- მაცივარი უნდა მოთავსდეს და გასწორდეს ბრტყელ და მყარ იატაკზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მაცივარი დაზიანდეს ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.
- გასწორებისას მაცივარი ცარიელი უნდა იყოს. მაცივარში არ დატოვოთ საკვები პროდუქტები.
- უსაფრთხოების მიზეზების გამო, დაარეგულირეთ ისე, რომ წინა მხარე ცოტა უფრო მაღლა იყოს, ვიდრე უკანა.

მაცივრის გასწორება შეიძლება მის წინა ფეხებზე არსებული ხრახნების (რეგულატორების) დახმარებით. მაცივრის გასასწორებლად გამოიყენეთ ბრტყელპირიანი სახრახნისი.



მარცხენა ფეხის სიმაღლის

დასარეგულირებლად:

მოათავსეთ ბრტყელპირიანი სახრახნისი წინა მარცხენა ფეხის რეგულატორში. სიმაღლის მოსამატებლად რეგულატორი საათის ისრის მიმართულებით, ხოლო დასაკლებად - საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაატრიალეთ.

მიმართულები

მარცხენა ფეხის სიმაღლის


დასარეგულირებლად:

მოათავსეთ ბრტყელპირიანი სახრახნისი წინა მარცხენა ფეხის რეგულატორში. სიმაღლის მოსამატებლად რეგულატორი საათის ისრის მიმართულებით, ხოლო დასაკლებად - საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაატრიალეთ.

მონტაჟი

საფეხური 5 გახსენით და ააწყვეთ მრავალფუნქციური სადგამი (მხოლოდ შესაბამის მოდელებში)

ტრანსპორტირებისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მრავალფუნქციური სადგამი შეფეხულია და ინახება საყინულე უკრაში. მოხსენით საფუთავი მრავალფუნქციურ სადგამს და ააწყვეთ ის მაცივრის თაროს ქვეშ.



- ჩასვით მრავალფუნქციური სადგამი მიმმართველში მაცივრის თაროს ქვეშ.

საფეხური 6 საწყისი პარამეტრები

შემდეგი საფეხურების დასრულების შემდეგ, მაცივარი სრულად უნდა ფუნქციონირებდეს.


- თაროებს მოხსენით კუთხეებზე დამაგრებული პოლიეტილენის რბილი საფენები, რომელთა დანიშნულებაა მაცივრის დაცვა ტრანსპორტირების დროს.
- შეართეთ დენის კაბელი როზეტში, რათა მაცივარი ჩაირთოს.
- გახსენით კარი და შეამოწმეთ, ანათებს თუ არა შიდა განათება.
- დააყენეთ ტემპერატურა ყველაზე ცივზე და დაელოდეთ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ მაცივარი ოდნავ გაგრილდება, ძრავი კი გამართულად იმუშავება.
- დაელოდეთ სანამ მაცივარი არ მიაღწევს დადგენილ ტემპერატურას. ახლა მაცივარი მზად არის გამოსაყენებლად.

■ შენიშვნა

მაცივრის ჩართვის შემდეგ გაიგონებთ სიგნალის ხმას. სიგნალიზაციის გამოსართავად შეეხეთ <-ს, ○-ს ან >-ს.



საფეხური 7 ტემპერატურის სიგნალიზაცია



- თუ მაცივრის ტემპერატურა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის გამო ძალიან აიწევს, ეკრანი ისე იციმციმებს, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.
 - თუ რომელიმე ღილაკს შეეხებით ($<$ -ს, \circ -ს ან $>$ -ს), გამოჩნდება საყინულო და სამაცივრე განყოფილებებში დაფიქსირებული „ყველაზე მაღალი ტემპერატურა“ და გაქრება 5 წამის ციმციმის შემდეგ.
- ეს გამაფრთხილებელი სიგნალი შეიძლება გამოჩნდეს:
 - როდესაც მოწყობილობა მონტაჟის შემდეგ პირველად ჩაირთვება.
 - თუ საყინულე მეტისმეტად გათბება დენის გათიშვის გამო.


საფეხური 8 საბოლოო შემოწმება

მონტაჟის შემდეგ დარწმუნდით, რომ:

- მაცივარი შეერთებული იყოს ელექტრო როზეტში და სათანადო იყოს დამინშებული.
- მაცივარი დამონტაჟებული იყოს ბრტყელ, თანაბარ ზედაპირზე, საკმარისი ღრეჩიონიდან ან კარდიდან.
- მაცივარი იდგეს სწორად და მყარად იატავზე.
- კარი თავისუფლად იღებოდეს და იხურებოდეს, კარის გაღებისას კი შიდა განათება ავტომატურად ირთვებოდეს.

ოპერაციები

მთავარი პანელი



ოპერაციები

01 მაცივრის ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none">აჩვენებს მაცივრის მიმღინარე ან სასურველ ტემპერატურას.განვითარებული რომ ფუნქცია ძლიერი გაგრილება ჩართულია.ხატულა გამოჩნდება, თუ ჩართავთ AI Energy Mode-ს SmartThings აპლიკაციაში. (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)
02 საყინულის ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none">აჩვენებს საყინულის მიმღინარე ან სასურველ ტემპერატურას.განვითარებული რომ ფუნქცია დენის გაყინვა ჩართულია.
03 გაღებული კარის ინდიკატორი	ეს მაჩვენებელი ციმული განვაშის სიგნალით, თუ კარი 2 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში იქნება ღია.



04 ღილაკები	<ul style="list-style-type: none"> როდესაც ეკრანი გამორთულია, ნებისმიერ ღილაკს შეეხეთ მის გასაღვიძებლად. გამოიყენოთ ○ მაცივრის ან საყინულის ასარჩევად და < ან > – არჩეული განყოფილებისთვის სასურველი ტემპერატურის ან ფუნქციის ასარჩევად.
05 ქსელის დაკავშირების ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ეს ხატულა იმაზე მიანიშნებს, რომ მაცივარი ქსელთან დაკავშირებულია. თუ Wi-Fi-ის ხატულა ციმციმებს, გირჩევთ, მაცივარი SmartThings აპის მეშვეობით დააკავშიროთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენი მაცივარი აკონტროლოთ და აწარმოოთ მისი მონიტორინგი SmartThings აპლიკაციაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ SmartThings (მხოლოდ შესაბამისი მოდელები) სექცია.

შენიშვნა

თუ კარი 5 წუთის განმავლობაში იქნება ღია, შიდა ნათურა 5 წუთის განმავლობაში იციმციმებს და გამოირთვება. ეს სმენადაქვეითებულ მომხმარებლებს ატყობინებს, რომ კარი ღიაა. გაითვალისწინეთ, რომ ეს ნორმალური ფუნქციაა.

ოპერაციული



ოპერაციები

სასურველი ტემპერატურის ან ფუნქციის დაყენება

- ეკანის გასაღიძებლად შეეხეთ ნებისმიერ ღლავს ($<$, \circ ან $>$).
 - ეს ნაბიჯი შესაძლოა ზოგიერთ მოდელში არ გამოიყენებოდეს.
- მაცივრის ან საყინულის ასარჩევად \bigcirc -ს შეეხეთ.
 - არჩევლი განყოფილების ინდიკატორი იციმუნებს.
- სასურველი ტემპერატურის ან ფუნქციის ასარჩევად $<$ -ს ან $>$ -ს შეეხეთ.
 - თითოეული განყოფილებისთვის ხელმისაწვდომი არჩევანისთვის ცხრილს მიმართეთ.

Fridge (მაცივარი)	<ul style="list-style-type: none"> ხელმისაწვდომი ვარიანტები ცელსიუსის სკალით: (დლიერი გაგრილება) $\leftrightarrow 1^{\circ}\text{C} \leftrightarrow 2^{\circ}\text{C} \leftrightarrow 3^{\circ}\text{C} \leftrightarrow 4^{\circ}\text{C} \leftrightarrow 5^{\circ}\text{C} \leftrightarrow 6^{\circ}\text{C} \leftrightarrow 7^{\circ}\text{C} \leftrightarrow \text{ც.}$ (მვებულება) ძლიერი გაგრილება აჩქარებს გაგრილების პროცესს ვენტილატორის მაქსიმალური სიჩქარით მუშაობის მეშვეობით. მაცივარი აგრძელებს სრული სიმძლავრით მუშაობას ორ საათ ნახევრის განმავლობაში, შემდეგ კი უბრუნდება წინა ტემპერატურულ რეჟიმს. თუ დასასვენებლად ან მივლინებაში წასვლას აპირებთ ან თუ ხანგრძლივი ტერიტორიის განმავლობაში არ აპირებთ მაცივრით სარგებლობას, გამოიყენეთ რეჟიმი შეკბულება. მაცივრის ტემპერატურა შენარჩუნდება 17°C-ზე, ხოლო საყინულება გააგრძელებს მანამდე შერჩეულ რეჟიმში მუშაობას.
Freezer (საყინულება)	<ul style="list-style-type: none"> ხელმისაწვდომი ვარიანტები ცელსიუსის სკალით: (დენის გაყინვა) $\leftrightarrow -23^{\circ}\text{C} \leftrightarrow -22^{\circ}\text{C} \leftrightarrow -21^{\circ}\text{C} \leftrightarrow -20^{\circ}\text{C} \leftrightarrow -19^{\circ}\text{C} \leftrightarrow -18^{\circ}\text{C} \leftrightarrow -17^{\circ}\text{C} \leftrightarrow -16^{\circ}\text{C} \leftrightarrow -15^{\circ}\text{C}$ ფუნქცია დენის გაყინვა აჩქარებს გაყინვის პროცესს ვენტილატორის მაქსიმალური სიჩქარით მუშაობის მეშვეობით. საყინულება გააგრძელებს სრული სიმძლავრით მუშაობას 50 საათის განმავლობაში და შემდეგ დაუბრუნდება წინა ტემპერატურულ რეჟიმს. დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტების გაყინვისთვის, გააქტიურეთ ფუნქცია დენის გაყინვა პროდუქტების საყინულებში მოთავსებამდე მინიმუმ 20 საათით ადრ. <p> შენიშვნა ამ ფუნქციის გამოყენებისას მაცივრის ენერგომოხმარება გაიზრდება. არ დაგვიწყდეთ მისი გამორთვა, როცა არ დაგჭირდებათ და დააბრუნეთ საყინულება თავდაპირველ ტემპერატურაზე.</p>

- დაელოდეთ, სანამ არჩევლი განყოფილების ინდიკატორი ციმციმს შეწყვეტს ან შეეხეთ \bigcirc -ს არჩევანის დასადასტურებლად.


შენიშვნა

ძლიერი გაგრილება ან დენის გაყინვა ფუნქციების გამოყენება გაზრდის ენერგომოხმარებას.


Wi-Fi-ის ჩართვა ან გამორთვა (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)

იმისათვის, რომ ჩართოთ ან გამორთოთ Wi-Fi, ხანგრძლივად შეეხეთ >-ს 10 წამის განმავლობაში. ეკრანი აჩვენებს Wi-Fi-ის სტატუსს 5 წამის განმავლობაში (როგორც სურათზე ნაჩვენები).

Wi-Fi ჩართულია



Wi-Fi გამორთულია



შენიშვნა

- როდესაც Wi-Fi-ის მაცივრის SmartThings აპთან დასაკავშირებლად დააყენებთ, Wi-Fi-ის ჩართვა/გამორთვის ფუნქციები ჩაირთვება.
- დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ SmartThings (მხოლოდ შესაბამისი მოდელები) სექცია.



ოპერაციები

SmartThings (მხოლოდ შესაბამისი მოდულები)

მონტაჟი

ეწვიეთ Google Play Store-ს, Galaxy Apps-ს ან Apple App Store-ს და მოძებნეთ „SmartThings“. ჩამოტვირთეთ და დააინსტალირეთ Samsung Electronics-ის მიერ მოწოდებული SmartThings აპლიკაცია თქვენს სმარტ მოწყობილობაზე.

④ შეინშვნა

- SmartThings აპლიკაციის დამხმარე პროგრამული ვერსია ექვემდებარება ცვლილებას მნარმოებლის მიერ მოწოდებული OS-ის მხარდამჭერი პოლიტიკის შესაბამისად. გარდა ამისა, რაც შეეხება SmartThings აპლიკაციას ან ფუნქციებს, რომლებსაც აპლიკაცია მხარს უჭერს, პლატფორმის განახლების ახალი პოლიტიკა არსებულ OS ვერსიაზე შეიძლება შეჩერდეს გამოყენებადობის ან უსაფრთხოების მიზეზების გამო.
- ეცექტურობის და გამოყენებადობის გაუმჯობესებისთვის SmartThings აპლიკაცია შესაძლოა შეტყობინების გარეშე შეიცვალოს. იმის გამო, რომ მობილური ტელეფონის OS ვერსია ყოველწლიურად განახლდება, SmartThings ასევე მუდმივად განახლდება უახლესი OS-ის მიხედვით. თუ გაქვთ შეკითხვები ზემოაღნიშნულ პუნქტებთან დაკავშირებით, დაგვიკავშირდით მისამართზე st.service@samsung.com
- დაშიფრის რეკომენდებული სისტემები მოიცავს WPA/TKIP-ს და WPA2/AES-ს. ნებისმიერი ახალი ან არასტანდარტული Wi-Fi ავთენტიფიკაციის პროტოკოლი არ არის მხარდაჭერილი.
- უსადენო ქსელებზე შეიძლება გავლენა იქონიოს მიმდებარე უკაბელო საკომუნიკაციო გრუმომ.
- თუ თქვენმა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერმა დაარეგისტრირა თქვენი კომპიუტერის ან მოდემის MAC მისამართი იდენტიფიკაციისთვის, თქვენი Samsung Smart Refrigerator შეიძლება ვერ დაუკავშირდეს ინტერნეტს. თუ ეს მოხდება, დაუკავშირდით თქვენს ინტერნეტ სერვისის პროვაიდერს ტექნიკური დახმარებისთვის.
- თქვენი ქსელის სისტემის firewall-ის პარამეტრებმა შესაძლოა ხელი შეუძლოს თქვენს Samsung Smart Refrigerator-ს ინტერნეტში წვდომას. დაუკავშირდით თქვენს ინტერნეტ სარვენის პროვაიდერს ტექნიკური დახმარებისთვის. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ მოახერხეთ ამ პრობლემის აღმოფხვრა, დაუკავშირდით Samsung-ის ადგილობრივ მომსახურების ცენტრს ან მოწყობილების.
- უკაბელო წვდომის წერტილის (AP) პარამეტრების კონფიგურაციისთვის იხილეთ AP-ის (როუტერის) მომხმარებლის სახელმძღვანელო.
- Samsung მაცივრებს აქვთ Wi-Fi 2.4 გჰც-ის IEEE 802.11 b/g/n-სთან ერთად და Soft-AP პროტოკოლების მსარდაჭერა. (რეკომენდებული IEEE 802.11 n).
- არაავტომატიზებული Wi-Fi უკაბელო როუტერები შეიძლება ვერ დაუკავშირდნენ შესაბამის Samsung Smart მაცივრებს.





Samsung-ის ანგარიში

აპლიკაციის გამოსაყენებლად საჭიროა თქვენი Samsung ანგარიშის რეგისტრაცია. თუ თქვენ ჰარ არ ხართ დარეგისტრირებული, Samsung-ის უფასო ანგარიშის შესაქმნელად მიჰყევით ინსტრუქციებს, რომლებიც აპლიკაციის გაშვების შემდეგ გამოჩენდება.

დაწყება

ჩართეთ მოწყობილობა, რომლის დაკავშირებაც გსურთ, გახსენით SmartThings აპლიკაცია თქვენს ტელეფონში და შემდეგ მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციებს.

თუ გამოჩენდება ამომხტარი ფანჯარა, რომელშიც ნათქვამია, რომ ნაპოვნია ახალი მოწყობილობა, შეეხეთ ADD NOW (დაამატეთ ახლა).

თუ ამომხტარი ფანჯარა არ გამოჩენდება, შეეხეთ + ლილაკს და შემდეგ აირჩიეთ მოწყობილობა, რომლის დაკავშირებაც გსურთ ხელმისაწვდომი მოწყობილობების სიიდან.

თუ თქვენ მოწყობილობა არ არის ხელმისაწვდომი მოწყობილობების სიაში, შეეხეთ Supported Devices (მხარდაჭერილი მოწყობილობები), აირჩიეთ მოწყობილობის ტიპი (მაცივარი) და შემდეგ აირჩიეთ მოწყობილობის კონკრეტული მოდელი.

მიჰყევით აპლიკაციის ინსტრუქციას თქვენი მოწყობილობის დასაყენებლად. დაყენების დასრულების შემდეგ, თქვენი მაცივარი გამოჩენდება „ბარათად“ თქვენი Devices (მოწყობილობები) ეკრანზე.

ინტეგრირებული კონტროლი

თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ და მონიტორინგი ჩაუტაროთ მაცივარს სახლში ყოფნისას ან მოგზაურობისას.

- შეეხეთ მაცივრის ხატულას SmartThings Dashboard-ზე (ხელსაწყოთა პანელზე) ან შეეხეთ Devices (მოწყობილობები) ხატულას Dashboard-ის (ხელსაწყოთა პანელის) ბოლოში და შემდეგ შეეხეთ მაცივრის „ბარათს“ მაცივრის გვერდის გასახსნელად.
- შეამოწმეთ მუშაობის სტატუსი ან თქვენს მაცივართან დაკავშირებული შეტყობინებები და საჭიროების შემთხვევაში შეცვალეთ პარამეტრები ან პარამეტრები

შენიშვნა

მაცივრის ზოგიერთი ვარიანტი ან პარამეტრი შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი დისტანციური მართვისთვის.

ოპერაციული



ოპერაციები

ოპერაციები

კატეგორია	პუნქტი	აღწერა
მონიტორინგი	მაცივრის ტემპერატურა	აჩვენებს მაცივრის მიმდინარე ტემპერატურის პარამეტრს.
	საყინულის ტემპერატურა	აჩვენებს საყინულის მიმდინარე ტემპერატურის პარამეტრს.
ფუნქციები	ძლიერი გაგრილება	შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ ძლიერი გაგრილება და შეამოწმოთ მიმდინარე პარამეტრები.
	დენის გაყინვა	შეგიძლიათ, ჩართოთ ან გამორთოთ დენის გაყინვა და შეამოწმოთ მიმდინარე პარამეტრები.
	მაცივრის ტემპერატურა	შეგიძლიათ, დააყენოთ მაცივრის სასურველი ტემპერატურა.
	საყინულის ტემპერატურა	შეგიძლიათ, დააყენოთ საყინულის სასურველი ტემპერატურა.
სიგნალი	არანორმალურად მაღალი ტემპერატურა	ეს სიგნალიზაცია ამოქმედდება, როდესაც მაცივრის ტემპერატურა ანომალიურად მაღალ დონეს მიაღწევს.
	გაღებული კარი	ეს სიგნალიზაცია ამოქმედდება, თუ კარი 2 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში იქნება ღია.
AI Energy Mode (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)	თქვენ შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ AI Energy Mode ენერგიის მენეჯმი SmartThings აპლიკაციაში. თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ სტატუსი AI Energy Mode SmartThings აპლიკაციაში. ზოგიერთ მოდელებზე, ეს ხატულა გამოჩენდება მთავარ პანელზე, რათა აჩვენოს, რომ AI Energy Mode ჩართულია. (მხოლოდ შესაბამისი მოდელები) AI Energy Mode-ის ჩართვა ამცირებს ენერგიის მოხმარებას, მაგრამ ასევე შეიძლება შეამციროს გაგრილების ეფექტურობა.	



სპეციალური ფუნქციები


მაცივრის რეალური სურათი და სპეციალური ფუნქციები შეიძლება განსხვავდებოდეს მოდელისა და ქვეყნის მიხედვით.

წყლის დისპენსერი (მხოლოდ შესაბამისი მოდელებისთვის)


წყლის დისპენსერის საშუალებით თქვენ შეგეძლებათ წყლის ჩამოსხმა მაცივრის კარის გაღების გარეშე. დისპენსერის გამოყენებამდე წყლის ავზი სასმელი წყლით უნდა აავსოთ.

იმისათვის, რომ წყლის ავზი სასმელი წყლით აავსოთ

გააღეთ მაცივრის კარი და მოძებნეთ წყლის ავზი კარის ყუთის ზონაში.



1. მოხსენით ზედა ხუფი.



2. გაავსეთ წყლის ავზი 3,5 ლიტრამდე (მაქს.) სასმელი წყლით.

▲ სიფრთხილე


- წყლის დისპენსერი განკუთვნილია სასმელი წყლის ჩამოსასხმელად. წყლის ავზში ჩაასხით მხოლოდ სასმელი წყალი. ავზში სხვა სითხე არ ჩაასხათ.
- წყლის ავზი ზედმეტად არ გადაავსოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ავზიდან წყალი გადმოიღვრება.

● შენიშვნა


პირველად გამოყენების წინ გაწმინდეთ წყლის ავზის შიდა ზედაპირი.

ოპერაციები

ოპერაციები



3. დახურეთ ზედა ხუფი.



4. წყლის ჩამოსასხმელად ჭიქა მოათავსეთ დისპენსერის ონგანის ქვეშ და მიაწერით სახელურს.

▲ სიფრთხილე



- არ დადგათ ნივთები წყლის რეზერვუარის ხუფზე.
- არ სცადოთ წყლის ავზის ავსება კარის თაროდან მოუხსნელად.
- დარწმუნდით, რომ წყლის ავზი თაროზე კარგად არის დამაგრებული.
- წუ ისარგებლებთ მაცვრით წყლის რეზერვუარის გარეშე. ამან შეიძლება მის ეფექტურ მუშაობას ხელი შეუშალოს.
- წყლის დაღვრის თავიდან ასაცილებლად დარწმუნდით, რომ ჭიქა დისპენსერის სახელურის გასწვრივაა მოთავსებული.

● შენიშვნა

მაცვიგარში ადგილის გამოსათავისუფლებლად შეგიძლიათ წყლის ავზი საკვები პროდუქტების შესანახად გამოიყენოთ. ამისათვის ავზს თავსახური მოხსენით.

ყინულის დამზადება (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)

ყინულის აპარატი დასატრიალებელი სახელურით



1. გახსენით საყინულე კარი და გამოწიეთ ყინულის უკრა.

2. შეავსეთ უკრა წყლით მაქსიმალურ დონემდე (A), რომელიც მონიშნულია უკრის შიდა უკანა მხარეს.

3. დააბრუნეთ უკრა თავის მდგომარეობაში.

■ შენიშვნა

ყინულის დამზადების დრო დამოკიდებულია თქვენი ტემპერატურის პარამეტრებზე.

■ შენიშვნა

- დარწინენდით, რომ ყინულის კუბიკის შესანახი ურნა ადგილზეა ყინულის უკრის ქვეშ.
- ყინულის კუბების გადმოსაყრელად, დაატრიალეთ სახელური მარკვნივ, რის შემდეგაც ყინულის კუბების ნახევარი ჩაიყრება ყინულის კუბების კონტეინერში. მეორე ნახევრის გადმოსაყრელად, სახელური დაატრიალეთ მარცხნივ.
- ყინულის კუბების კონტეინერის გამოსაღებად ოდნავ გადასარეთ გვერდზე თქვენსკენ გამოსწიეთ.



ტექნიკური მოვლა


კარის გაღების მიმართულების შეცვლა (მხოლოდ შესაბამისი მოდელებისთვის)

კარის გაღების მიმართულების შეცვლა უნდა მოხდეს Samsung-iს მიერ უფლებამოსილი პერსონალის მიერ. ამ სამუშაოს ღირებულების გადახდა თქვენი პასუხისმგებლობაა, რადგან მსგავსი მომსახურება არ არის გათვალისწინებული გარანტიის პირობების მიხედვით.


⚠ გაფრთხილება

- არაუფლებამოსილი პერსონალის მიერ არასწორად ჩატარებული სამუშაოს მიზეზით ქონების დაზიანების კომპენსაცია გარანტიით არ არის გათვალისწინებული.
- კარის გაღების მიმართულების შეცვლის სამუშაოს დაწყებამდე მაცივარი ჩახსენით კვების წყაროდან.
- კარის გაღების მიმართულების შეცვლის სამუშაოს დასრულების შემდეგ დაიცადეთ მინიმუმ ერთი საათი. ეს თავიდან აგაცილებთ შესაძლო დენის დარტყმის საფრთხეს.


საჭირო ხელსაწყოები (კომპლექტში არ შედის)




Philips-iს სახრახნისი




ბრტყელპირანი სახრახნისი




11 მმ-იანი ქანჩის გასაღები (ანკამის ღერისთვის)



8 მმ-იანი ტორსული ქანჩის გასაღები (ბოლტებისთვის)




10 მმ-იანი ტორსული ქანჩის გასაღები (ბოლტებისთვის)




5 მმ-იანი აღენის ტიპის ქანჩის გასაღები (შუა ანკამისთვის)


აქსესუარები



ანკამის საფარი (L)



შეუა ანკამის ხრახნის თავი



ქვედა ანკამის ხრახნის თავი




⚠ სიფრთხილე


უსაფრთხოების მიზნით, კარის გაღების მიმართულების შეცვლის მთელი პროცედურის განმავლობაში მცირე ზომის დეტალები (ხრახნები, საცობები და ა.შ.) შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

დეტალური ინსტრუქციები


